წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო
მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი N1

ქ. წყალტუბო 28.03.2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: ზურაბ ჯანელიძე, ედიშერ გედენიძე, ლალი გრიგოლავა, ნიკოლოზ გურეშიძე, მარიამ კუჭავა, დავით მესხი, მანანა ჩაკვეტაძე, მანანა ჩიხლაძე, ლეილა აშორდია, მურად სინაურიძე; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მარეხ კანკაძე, ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნიკა მჟავია.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

მ. კანკაძე-მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის
სამსახურის უფროსი

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

გ. ბალანჩივაძე- წყალუბოს
მუნიციპალიტეტის მერი

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის შესახებ.

გ. ბალანჩივაძე- წყალუბოს
მუნიციპალიტეტის მერი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საქართველოს ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მარეხ კანკაძის ინფორმაცია. რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 2 აპრილის N734 განგარგულებით ქვეყნის ქალაქებსა და კურორტების განვითარებისათვის დაიგეგმა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რომელიც მოიცავს ურბანული განახლების დოკუმენტების შემუშავებასაც. პროექტებში ჩართულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტიც. ინფრასტრუქურული პროქტის ფარგლებში სარეაბილიტაციო ლოკაციას წარმოადგენს კურორტის ე.წ. „ცივი ტბისა“ და ცენტრალური პარკის ტერიტორია.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ, რომელმაც აღნიშნა ,რომ უკვე შერჩეულია ქ. წყალტუბოში ცენტრალური პარკისა და „ცივი ტბის“ მიმდებარე რეკრეაციული სივრცის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრცხვო დოკუმეტების მომზადებისა და მის საფუძველზე შესაბამისი სამუშაოების შესრულებისათვის ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 20 მილიონ ლარს, რითაც რადიკალურად შეიცვლება ქალაქ-კურორტის იერსახე , რაც პოზიტიურად აისახება ავადმყოფ დამსვენებელთა და ტურისტთა მოზიდვის საქმეში. ამასთან, აღინიშნა ხელისშემშლელი ფაქტორებიც, რაც განპირობებულია ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მაგრამ იჯარით გაცემული რესტორნისა და ცივი ტბის აუზების მეიჯარეების მხრიდან საიჯარო ხელშეკრულების ნებაყოფლობით შეწყვეტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით. მანვე აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავლად სხვა ღონისძიებების გატარების შემდეგ მიიჩნია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

ლალი გრიგოლავამ, თეიმურაზ ფირცხალავამ, ედიშერ გედენიძემ, მარიამ კუჭავამ, მურად სინაურიძემ, დავით მესხმა, ლალი აშორდიამ, მანანა ჩიხლაძემ, ზურაბ ჯანელიძემ, რომლებმაც ერთის მხრივ მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე მხარდაჭერა გამოხატეს მეიჯარეებთან ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის მიმართ, მაგრამ ამასთან მოითხოვეს ხელშეკრულების მეორე მხარესთან, როგორც ბიზნესმენებთან ფაქიზი დამოკიდებულებით, ინფორმირებულობით და დარწმუნებით მიზნის მიღწევა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. საქართველოს ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის - მარეხ კანკაძის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს რეკომენდაცია მიეცეს, რათა გააგრძელოს მუშაობა კურორტის განვითარებისათვის დაგეგმილი პროექტების განხორციელებაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად და გამოუვალი სიტუაციის შექმნისას ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესების გათვალისწინებით, განიხილოს „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იჯარით გაცემული ობიექტების მეიჯარეებთან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ. მერმა გენადი ბალანჩივაძემ სხდომას გააცნო შესაბამისი დებულების მოთხოვნები - საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის ერთი წლის ვადით არჩევის ვალდებულების შესახებ. მანვე მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, მერიის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ ასარჩევად კვლავ წამოაყენა მოქმედი თავმჯდომარის ზურაბ ჯანელიძის კანდიდატურა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მანანა ჩიხლაძემ, დავით მესხმა, მანანა ჩაკვეტაძემ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ, ერთი წლის ვადით, ღია კენჭისყრით, ერთხმად არჩეულ იქნას ზურაბ ჯანელიძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს მდივნის თაობაზე , მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნულ პოზიციაზე ასარჩევად წარადგინა მარინა ჭავჭანიძის კანდიდატურა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ლალი გრიგოლავამ, მარიამ კუჭავამ, ზურაბ ჯანელიძემ;

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩევლთა საბჭოს მდივნად, მომდევნო ერთი წლის ვადით არჩეულ იქნას მარინა ჭავჭანიძე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

სხდომის მდივანი მ. ჩაკვეტაძე